

შეთანხმებულია

დამტკიცებულია

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი



სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის დაფინანსებისა და
სტიპენდიის გაცემის წესი

2020 წელი

სარჩევი

თავი I. ზოგადი დებულებები	4
თავი II. სწავლის დაფინანსება	4
თავი III. სასწავლო სტიპენდია	6
თავი IV. საკურსო/საკვალიფიკაციო ნაშრომის (შემოქმედებითი პროექტების) დაფინანსება.....	8
თავი V. კვლევითი/შემოქმედებითი პროექტების დაფინანსება	10
თავი VI. დასკვნითი დებულებები	10

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში სტუდენტის დაფინანსების, სტიპენდიის გაცემის, საკურსო/საკვალიფიკაციო ნაშრომის (შემოქმედებითი პროექტების) დაფინანსებისა და კვლევითი/შემოქმედებითი პროექტების დაფინანსების გაცემის წესს;
2. სტუდენტისთვის სწავლის დაფინანსება, სტიპენდია ხელს უწყობს სტუდენტების მოტივაციას;
3. სტუდენტის დაფინანსებისა და სტიპენდიის გაცემის წესი შედგენილია მოქმედი კანონმდებლობისა, უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

თავი II. სწავლის დაფინანსება

მუხლი 2. სტუდენტისთვის სწავლის დაფინანსება

1. სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის თანახმად ახდენს შესაბამისი კატეგორიის სტუდენტების სწავლის დაფინანსებას;
2. სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი სთავაზობს სწავლის დაფინანსებას მაღალი აკადემიური მოსწრების საშემსრულებლო-შემოქმედებითი საგანმანათლებლო პროგრამის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს და ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს;

მუხლი 3. სტუდენტისთვის სწავლის დაფინანსების პროცედურა

1. სტუდენტი სწავლის დაფინანსების კონკურსში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს მხოლოდ პირველი სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ;
2. მობილობით გადმოსულ სტუდენტებს სწავლის დაფინანსების კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევათ უნივერსიტეტში ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის შემდეგ;

3. სტატუსადგენილ სტუდენტს სწავლის დაფინანსების კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის აღდგენიდან ერთი სემესტრის შემდეგ.

მუხლი 4. სტუდენტისთვის სწავლის დაფინანსების ვადა

სწავლის დაფინანსება ხდება სემესტრულად და მოქმედებს ერთი სემესტრის განმავლობაში;

მუხლი 5. სტუდენტისთვის სწავლის დაფინანსების წესი

1. სტუდენტი მოიპოვებს სწავლის დაფინანსებას მისი საშუალო ქულის დაანგარიშების საფუძველზე, სემესტრული სარეიტინგო მონაცემების მიხედვით;
2. სტუდენტის საშუალო ქულის დაანგარიშება ხდება სასწავლო ელექტრონული სისტემის (ბაზის) მეშვეობით, სტუდენტის სასწავლო ბარათში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, შემდეგი წესით:
 - 2.1. სემესტრული გამოცდების ფარგლებში სტუდენტის მიერ თითოეული სასწავლო კურსში მიღებული შეფასება მრავლდება ამ კურსის კრედიტების რაოდენობაზე;
 - 2.2. სემესტრული სასწავლო კურსების შეფასების ნამრავლთა ჯამი იყოფა ყველა სასწავლო კურსის კრედიტების საერთო რაოდენობაზე;
 - 2.3. მიღებული სიდიდე წარმოადგენს საშუალო ქულას.
3. სტუდენტს მიეცემა შიდა საუნივერსიტეტო სწავლის დაფინანსება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას ათვისებული აქვს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კრედიტი და თუ შესაბამის სემესტრში თითოეული სასწავლო კურსის შეფასება არ არის 91 (A) ქულაზე ნაკლები.
4. **საშემსრულებლო-შემოქმედებითი საგანმანათლებლო პროგრამის საბაკალავრო საფეხურის** სწავლების ყოველ სემესტრში ერთ კონკრეტულ მიმართულებაზე დაფინანსებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიმართულებაზე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 25 %-ს.
5. მაღალი აკადემური მოსწრების მიხედვით დასაფინანსებელ მაგისტრანტთა წლიური ბიუჯეტი განისაზღვრება არაუმეტეს 27 500 ლარისა, რაც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.
6. სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტის დაფინანსება შესაძლებელია მხოლოდ მესამე ან/და მეოთხე სემესტრში შემდეგი წესით:

- 6.1. მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტის სწავლის საფასური მესამე სემესტრში დაფინანსდება, თუ პირველ და მეორე სემესტრში მას ათვისებული აქვს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კრედიტი და თუ შესაბამის სემესტრებში თითოეული სასწავლო კურსის შეფასება არ არის 91 (A) ქულაზე ნაკლები.
- 6.2. მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტის სწავლის საფასური მეოთხე სემესტრში დაფინანსდება, თუ მესამე სემესტრში მას ათვისებული აქვს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კრედიტი და თუ შესაბამის სემესტრში თითოეული სასწავლო კურსის შეფასება არ არის 91 (A) ქულაზე ნაკლები.
7. ყოველ სასწავლო სემესტრში ერთი მიმართულების პარალელურ ჯგუფებში შესაძლებელია დაფინანსდეს სტუდენტთა სხვადასხვა რაოდენობა.
8. სწავლის დაფინანსების კონკურსანტებს შორის ერთნაირი საშუალო ქულის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია დაფინანსების გაყოფა ორ ან მეტ სტუდენტზე;
9. წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, არსებული ქვოტის ფარგლებში 91 (A) შეფასების მქონე სტუდენტების (სახელობითი სიის და ოდენობის) დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო.
10. წინამდებარე მუხლით დადგენილი წესისგან განსხვავებულ/განსაკუთრებულ შემთხვევებში (არსებობის შემთხვევაში) ინფორმაციას (სტუდენტთა სახელობითი სია და შეფასებები) ფაკულტეტის საბჭო აწვდის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რომელიც, შეხედულებისამებრ, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად აღნიშნულს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

თავი III. სასწავლო სტიპენდია

მუხლი 6. სტიპენდია

1. სტიპენდიანტთა რაოდენობა და სასტიპენდიო ფონდი განისაზღვრება, უნივერსიტეტის ფინანსური სიტუაციიდან გამომდინარე, ყოველწლიურად წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ და მტკიცდება ბიუჯეტთან ერთად.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტიპენდიანტთა რაოდენობას უნივერსიტეტის საფინანსო სამსახური ანაწილებს ფაკულტეტებზე სტუდენტთა საერთო რაოდენობის პროპორციულად და აწვდის ფაკულტეტებს სასწავლო წლის დაწყებიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 7. სტიპენდიის გაცემა

1. სტიპენდიის გაცემა შესაძლებელია სემესტრულად, საბაკალავრო საფეხურის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებზე;
2. სტიპენდია გაცემა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს ათვისებული აქვს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კრედიტი და თუ თითოეული სასწავლო კურსის შეფასება არ არის 91 (A) ქულაზე ნაკლები. თანაბარი ქულების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპეციალობის საგნებში მიღებულ შეფასებას;

მუხლი 8. სტიპენდიანტთა გამოვლენა

1. დეკანატებმა სემესტრის დაწყებიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში, ელექტრონული სისტემის ინფორმაციის საფუძველზე უნდა გამოავლინონ სტიპენდიანტთა სახელობითი სიები;
2. სტიპენდიანტთა სახელობითი სია, გასაცემი სტიპენდიის ოდენობა და გაცემის გრაფიკი დამტკიცდება სემესტრულად რექტორის ბრძანებით.

მუხლი 9. სტიპენდიის გაცემის წესი და ოდენობა

1. სტიპენდია გაცემა ყოველთვიურად (სემესტრში ოთხი თვე), შესაბამისი თვის ბოლო კვირის განმავლობაში, სტუდენტის მიერ წარმოდგენილ პირად საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით;
2. სტიპენდიის ოდენობა (არსებობის შემთხვევაში) შეიძლება იყოს არაუმეტეს თვეში 150 ლარის, ხოლო სემესტრულად 600 ლარისა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის გათვალისწინებით;
3. სტიპენდია არ მიეცემა:
 - 3.1. სტუდენტს, რომელსაც დაკისრებული აქვს სახდელი უნივერსიტეტისთვის მატერიალური ზიანის მიყენების საფუძველით, შესაბამის სემესტრში. სახდელის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ სტიპენდიების გაცემის საკითხის გეგმური განხილვისას, წინამდებარე წესით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სტუდენტისთვის სტიპენდიის მიცემის საკითხი განიხილება დადგენილი წესით;
 - 3.2. სტუდენტს, რომელსაც აქვს დავალიანება უნივერსიტეტის მიმართ. დავალიანების დაფარვის შემდეგ სტიპენდიების გაცემის საკითხის გეგმური განხილვისას, წინამდებარე წესით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სტუდენტისთვის სტიპენდიის მიცემის საკითხი განიხილება დადგენილი წესით;
 - 3.3. სტუდენტს, რომელსაც შესაბამის სემესტრში უნივერსიტეტის მხრიდან უფინანსდება სწავლის საფასური 100%-მდე ოდენობით.

თავი IV. საკურსო/საკვალიფიკაციო ნაშრომის (შემოქმედებითი პროექტების)
დაფინანსება

მუხლი 10. საბაკალავრო საფეხურის სტუდენტის საკურსო ნაშრომის (შემოქმედებით პროექტის), სამაგისტრო საფეხურის სტუდენტის საკვალიფიკაციო ნაშრომის (შემოქმედებით პროექტის) და სხვა სახის შემოქმედებითი პროდუქტის დაფინანსება და ოდენობა

1. სწავლის მეექვსე სემესტრში უნივერსიტეტი აფინანსებს საშემსრულებლო-შემოქმედებითი საგანმანათლებლო პროგრამის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტის საკურსო ნაშრომს (შემოქმედებით პროექტს);
2. სათეატრო მიმართულების სარეჟისორო ჯგუფებში სადადგმო საკურსო/წინასაკვალიფიკაციო ნაშრომის (სპექტაკლის) დაფინანსება ხორციელდება ინდივიდუალურად. ერთი საკურსო სპექტაკლის დაფინანსება შეადგენს 500 ლარს;
3. სათეატრო მიმართულების სამსახიობო ჯგუფებში სადადგმო საკურსო/წინასაკვალიფიკაციო ნაშრომის (სპექტაკლის) დაფინანსება ხორციელდება ჯგუფურად. ერთი საკურსო სპექტაკლის დაფინანსება შეადგენს 5000 ლარს;
4. აუდიო-ვიზუალური მიმართულების საკურსო ნაშრომის (ფილმის) დაფინანსება ხორციელდება ინდივიდუალურად, სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ერთი სტუდენტის საკურსო ფილმის დაფინანსება შეადგენს:
 - ✓ კინო-ტელე რეჟისურის მიმართულებით - 500 ლ.
 - ✓ საოპერატორო მიმართულებით - 300 ლ.
 - ✓ ხმის რეჟისურის მიმართულებით - 250 ლ.
5. სწავლის მერვე-BA / მეოთხე-MA სემესტრში უნივერსიტეტი აფინანსებს საშემსრულებლო-შემოქმედებითი საგანმანათლებლო პროგრამის საბაკალავრო/სამაგისტრო საფეხურის სტუდენტის საკვალიფიკაციო ნაშრომს (შემოქმედებით პროექტს);
6. სათეატრო მიმართულების სარეჟისორო ჯგუფებში სადადგმო საკვალიფიკაციო ნაშრომის (სპექტაკლის) დაფინანსება ხორციელდება ინდივიდუალურად. ერთი საკვალიფიკაციო სპექტაკლის დაფინანსება შეადგენს 1000 ლარს;

7. სათეატრო მიმართულების სამსახიობო ჯგუფებში სადადგმო საკვალიფიკაციო ნაშრომის (სპექტაკლის) დაფინანსება ხორციელდება ჯგუფურად. ერთი საკვალიფიკაციო სპექტაკლის დაფინანსება შეადგენს 5000 ლარს;
8. აუდიო-ვიზუალური მიმართულების საკვალიფიკაციო ნაშრომის (ფილმის) დაფინანსება ხორციელდება ინდივიდუალურად, სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ერთი სტუდენტის საკვალიფიკაციო ფილმის დაფინანსება შეადგენს:
 - ✓ კინო-ტელე რეჟისურის მიმართულებით - 1500 ლ.
 - ✓ საოპერატორო მიმართულებით - 1200 ლ.
 - ✓ ხმის რეჟისურის მიმართულებით - 1000 ლ.
9. შესაძლებელია აუდიო-ვიზუალური მიმართულებით სხვადასხვა სპეციალობის (კინო-ტელე რეჟისურა/საოპერატორო/ხმის რეჟისურა) სტუდენტთა გაერთიანება ერთობლივი საკურსო/საკვალიფიკაციო შემოქმედებითი პროდუქტის (ფილმის) შექმნის მიზნით, რომელიც დაფინანსდება ჯამურად, შემოქმედებით ჯგუფში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით;
10. ქორეოგრაფიული/სამუსიკო მიმართულების საკვალიფიკაციო შემოქმედებითი პროექტის (საკონცერტო პროგრამის) დაფინანსება ხორციელდება ჯგუფურად. ერთი საკვალიფიკაციო საკონცერტო პროგრამის დაფინანსება შეადგენს 500 ლარს;
11. აუდიო-ვიზუალური მიმართულებით ინდივიდუალურად დაფინანსებული საკვალიფიკაციო ნაშრომი სტუდენტის მიერ უნდა შესრულდეს და წარდგენილ იქნას დაცვაზე თანხის ჩარიცხვიდან ერთი წლის ვადაში;
12. თუ ინდივიდუალურად დაფინანსებული საკვალიფიკაციო ნაშრომი არ შესრულდა და არ იქნა წარდგენილი დაცვაზე, სტუდენტს ეძლევა უფლება მომდევნო ორი წლის განმავლობაში (დამატებით სემესტრებში) მოამზადოს და წარადგინოს დაცვაზე ახალი პროდუქტი თვითდაფინანსებით: პირველ წელს პროგრამით დადგენილი კრედიტების (BA-15 ECTS/ MA-20 ECTS) საფასურის გადახდის შემდეგ, ხოლო მეორე წელს, სრული სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის შემდეგ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად;
13. სადისერტაციო ნაშრომის შემოქმედებითი პროდუქტის დაფინანსების საკითხი განიხილება ფაკულტეტის საბჭოს მიერ ინდივიდუალურად, დისერტაციის ხელმძღვანელის წარდგინებით, შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე. სადისერტაციო ნაშრომის შემოქმედებითი პროდუქტის დაფინანსების მაქსიმალური თანხა შეადგენს 1500 ლარს;
14. ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, ინდივიდუალურად დაფინანსდება თეორიული მიმართულებების (სახელოვნებო მეცნიერებები /მედია /მენეჯმენტი /ტურიზმი) საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებისათვის

საჭირო აქტივობები: საარქივო და სამუზეუმო მასალების მოპოვება-გადმოწერა, ფოტო-ვიდეო გადაღება და სხვ. ამ შემთხვევაში, საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელმა უნდა მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს შესაბამისი აქტივობების აუცილებლობის შესახებ.

თავი V. კვლევითი/შემოქმედებითი პროექტების დაფინანსება

მუხლი 11. სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი პროექტის, პროექტის ფარგლებში ფოტო-ვიდეო გადაღების, მასტერკლასის/გამოფენის ორგანიზება-ჩატარების და სხვა ხარჯების დაფინანსება

1. უნივერსიტეტში სწავლის დროს, სამივე საფეხურზე, სტუდენტს შეიძლება მიეცეს დაფინანსება ინდივიდუალურად, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი პროექტის შესასრულებლად: საარქივო და სამუზეუმო მასალების მოპოვება-გადმოწერა, კვლევის/შემოქმედებითი პროექტის ფარგლებში ფოტო-ვიდეო გადაღება, სტუდენტის მიერ ინიცირებული მასტერკლასის/გამოფენის ორგანიზება-ჩატარება, მოკლევადიანი (1-3 დღე) სავსე პრაქტიკა საქართველოს ფარგლებში.
2. სტუდენტის მიერ ფაკულტეტის საბჭოზე დაფინანსებისთვის წარმოდგენილი პროექტი უნდა მოიცავდეს ბიუჯეტს (მოთხოვნილი თანხის დასაბუთებას).
3. სტუდენტის ინდივიდუალური კვლევითი/შემოქმედებითი პროექტის დაფინანსების საკითხს, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, განიხილავს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 12. შეღავათი

კანონმდებლობით განსაზღვრულ ან სხვა გამონაკლის შემთხვევებში ფაკულტეტის საბჭო მიმართავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, წარუდგენს დასაბუთებელ და დადასტურებულ ინფორმაციას/დოკუმენტაციას და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, შეხედულებისამებრ, აღნიშნულს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ან სხვა საგამონაკლისო შემთხვევაზე შეღავათის დაწესებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად. წარმომადგენლობითი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

თავი VI. დასკვნითი დებულებები

მუხლი 13. ცვლილების შეტანა

1. სტუდენტის დაფინანსებისა და სტიპენდიის გაცემის წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო;
2. სტუდენტის დაფინანსებისა და სტიპენდიის გაცემის წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.